



№ გ-04/96-17

31.01 2017 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების დაცვის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა მიმართულებებითა და ოდენობით შემცირდა სამინისტროს სისტემაში (სამინისტროს აპარატი, სსიპ (ინდივიდუალურად) ფინანსური ხარჯები 2017 წლის 1 იანვრიდან? (ადმინისტრაციული ხარჯები, თანამშრომელთა ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატები) და სხვა);
2. რის საფუძველზე წარმართა რეორგანიზაციის პროცესი სამინისტროს სისტემაში (სამინისტროს აპარატი, სსიპ (ინდივიდუალურად)? ჩატარდა თუ არა შიდა საკადრო აუდიტი ან შეიქმნა თუ არა სამუშაო ჯგუფი არსებული საშტატო ნუსხის შეფასების მიზნით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ, შიდა საკადრო აუდიტის/სამუშაო ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები, არსებობის შემთხვევაში;
3. რა მიმართულებებით და სფეროებში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელმაც გამოიწვია შტატების შემცირება? გთხოვთ, მოგვაწოდოთ, მინისტრის ბრძანებები საშტატო სტრუქტურის რეორგანიზაციის თაობაზე;

4. რამდენი საჯარო მოხელე გათავისუფლდა სამინისტროს სისტემაში (სამინისტროს აპარატი, დაქვემდებარებული სსიპ-ები (ინდივიდუალურად)) რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?
5. რა გარემოებები და კრიტერიუმები იყო გათვალისწინებული საჯარო მოხელის შერჩევისას რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას? (მაგ: ატესტაციის ან შეფასების შედეგები, დისციპლინური პასუხისმგებლობის ქონა და ა.შ.)
6. რამდენი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გათავისუფლდა სამინისტროს სისტემაში (სამინისტროს აპარატი, დაქვემდებარებული სსიპ-ები) რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?
7. რამდენმა საჯარო მოხელემ დატოვა სამინისტროს სისტემა (სამინისტროს აპარატი, დაქვემდებარებული სსიპ-ები (ინდივიდუალურად)) პირადი განცხადების საფუძველზე 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?
8. რა ოდენობის თანხა დაიზოგა სამინისტროს სისტემაში 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად?
9. რა ოდენობის თანხა დაიხარჯა სამინისტროს სისტემაში (სამინისტროს აპარატი, დაქვემდებარებული სსიპ-ები (ინდივიდუალურად)) რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კომპენსაციის სახით 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი



თავმჯდომარე